პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 100 (5130)

1974 წ. 22 მაისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# ...ბოლოში არ ეშველება!

„უმაღლეს ლიგაში დარჩენისთვის" — ასე ერქვა „კომუნისტში" გამოქვეყნებულ ერთ მოკლე წერილს, რომელშიც ლაპარაკი იყო საქართველოს ხელბურთელთა უძლიერესი გუნდის, თბილისის „ბურევესტნიკის" სავალალო მდგომარეობაზე.

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! — დარწმუნებული ვართ, ასე წამოიძახა წერილის წაკითხვის შემდეგ ხელბურთის ბევრმა ქომაგმა. ეს იქნებოდა პირველი რეაქცია. ამას უნდა მოჰყოლოდა გაწბილების, იმედგაცრუების გრძნობა: „რატომ აქამდე არ ვიცოდი, რა ხდება გუნდში! ეს ხომ კერძო ორგანიზაცია არ არის, რომ საკუთარ ნაჭუჭში იყოს ჩაკეტილი. მე გულშემატკივარი ვარ და, ვისაც ევალება, უნდა მაცნობოს გუნდში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ბოლოს და ბოლოს, ხელბურთი, ისევე როგორც სპორტის ყველა სახეობა, თვითმიზანი როდია. იგი ხალხს ემსახურება".

ასე ფიქრობდა ალბათ ბევრი გულშემატკივარი და, უნდა ითქვას, საამისოდ სრული საფუძველიც ჰქონდა. რატომ უნდა შევიტყოთ ჩვენი გუნდის კატასტროფული მდგომარეობა მხოლოდ საკავშირო გათამაშების დროს, როცა იგი, როგორც იტყვიან, უკანასკნელ დღეშია და თითქმის აღარაფერი ეშველება უმაღლეს ლიგაში დასარჩენად? რატომ უნდა გვატყობინებდეს ამას საქინფორმი, როცა არიან სპეციალისტები, მწვრთნელები, ვეტერანები, უბრალოდ, ამ საქმეში კარგად ჩახედული ადამიანები? რატომ უნდა მივიყვანოთ „ბოლო წუთამდე" საქმე, როცა საზოგადოებრივ აზრს შეუძლია სასიკეთო ზემოქმედება მოახდინოს გუნდის ტონუსზე?

რა არის ეს, შიში თავიანთი გულშემატკივრების წინაშე, თუ უპატიებელი უპასუხისმგებლობა? არ ვიცით, რას ფიქრობენ სხვები, მაგრამ, ჩვენი აზრით, ერთიცა და მეორეც. გამოდის, რომ ჩვენ ქვეყნის სხვა გუნდებზე გაცილებით საინტერესო და მრავალმხრივი ინფორმაცია მოგვეპოვება, ვიდრე „მშობლიურ" კოლექტივზე. სამწუხაროდ, ასეთ ფაქტებს ვერსად გავექცევით. იქნებ ამანაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩვენი ხელბურთის სამარცხვინო ჩამორჩენა ბოლო წლებში: პიონერი და ექს-ჩემპიონი ჯერ უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა, შემდეგ დიდი ვაივაგლახით დაუბრუნდა უძლიერესთა რიგებს, რათა კვლავ სულს ღაფავდეს.

სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ამ სასტიკი ჩამორჩენის პროცესები საზოგადოებრიობისთვის მალულად მიმდინარეობდა. ხმაც ვერ ამოვიღეთ, ისე გადაბარგდა „ბურევესტნიკი" ერთი ლიგიდან მეორეში. რა მოხდა, ბატონო, ხომ დაგვაყენებენ ბოლოს ფაქტის წინაშე... და იწყება გაუთავებელი თავის მართლება, „სუბიექტურ-ობიექტური" მიზეზების ძიება. ერთი სიტყვით, პირადი პასუხისმგებლობის აცილების უდღეური ცდები. საქმეს კი ეს, დაგვერწმუნეთ, ოდნავადაც არ შველის.

არანაკლები საიდუმლოების ბურუსითაა მოსილი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა საქმენი. ვფიქრობთ, სულაც არ არის საჭირო სპეციალისტი იყო, რომ შეუიარაღებელი თვალითაც კი დაინახო სერიოზული ნაკლოვანებანი გუნდის ტექნიკურ-ტაქტიკურ და მორალურ-ნებელობით მომზადებაში. ამ რამდენიმე ხნის წინათ ცენტრალური ტელევიზიით გადმოცემულ „სპორტულ დღიურში" კომენტატორმა საკავშირო პირველობის მიმოხილვა თბილისის „დინამოს" თამაშის განხილვით დაიწყო. მაშინ მხოლოდ სამი ტური იყო გამართული. კომენტატორს განცვიფრება ვერ დაემალა: სამ თამაშში „დინამომ" მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანაო, გუნდის თამაშს ვეღარ ვცნობთ, ქართველი ფეხბურთელები მოიერიშე სტილით იყვნენ ცნობილი, ახლა კი რატომღაც კონტრშეტევა აქციეს მთავარ იარაღადო.

კომენტატორს ერთობ შეზღუდული დრო ჰქონდა ანალიზისთვის და ჩვენს გუნდზე სიტყვა აღარ გაუგრძელებია, თორემ დარწმუნებული ვართ, ჩამორჩენის მიზეზებსაც მოგვახსენებდა. მაგრამ საინტერესოა, რატომ არ უნდა ვგებულობდეთ ჩვენი გუნდის ავ-კარგს კოლექტივის ხელმძღვანელთაგან? ხომ ცნობილია ჩვენი ხალხის უსაზღვრო სიყვარული ფეხბურთისადმი და კერძოდ საქართველოს საუკეთესო გუნდისადმი. რატომ ერთხელ მაინც არ გამოვიდა „დინამოს" ხელმძღვანელობა საზოგადოებრიობის წინაშე, რათა დაუფარავად, შეულამაზებლად, პრინციპულად ემსჯელა გუნდის საჭირბოროტო საკითხებზე (ერთადერთი გამოსვლა ტელევიზიით მიმდინარე სეზონში საკითხის არსს ვერ ცვლის), რატომაა შემწყნარებლობისა და დაუსჯელობის ატმოსფერო გუნდში, რომლის სუსტ თამაშს, იუმორისტების თქმისა არ იყოს, ლამის ინფარქტამდე მიჰყავს ხალხი? არაფერი ვიცით, არაფერი გვესმის, „დინამო" რაღაც „საიდუმლო" გუნდად იქცა. ეს იწვევს არაჯანსაღ მითქმა-მოთქმას, ჭორებს გულშემატკივართა საგრძნობ ნაწილში.

რა არის ამ მეტწილად უსაფუძვლო ხმების წარმოშობის მიზეზი? ვიმეორებთ, ინფორმაციის ნაკლებობა ან, უფრო სწორად, უქონლობა. გუნდის ქომაგებს აინტერესებთ, მაგალითად, რატომ მოუკლო თამაშს დაცვის ხაზმა, რატომ გახდა ზოზინა და მოუქნელი ნახევარდაცვა, რად არიან ასე საოცრად ინერტული თავდამსხმელები? ან უბრალოდ, რატომ არ „აყენებენ" გავაშელს, გოგიას, მჭედლიშვილს...

გვერწმუნეთ, ეს მოცლილი ხალხის კითხვები როდია. ფეხბურთი ჭეშმარიტად სახალხო თამაშია და მის ურიცხვ მოყვარულს სრული უფლება აქვს მოითხოვოს სათანადო ინფორმაცია საყვარელი გუნდის შესახებ. ბოლოს და ბოლოს, პასუხის მისაღებად ყველა დიდმის საწვრთნელ ბაზაზე ხომ ვერ ივლის?! სამწუხაროდ, თითო-ოროლა, ვინც მართლა დადის იქ, გულის გასახეთქ ჭორებს ავრცელებს (რასაც საბოლოოდ გუნდის რეპუტაციისთვის მხოლოდ ზიანი მოაქვს). სამწუხაროდ, ფეხბურთზე, ფეხბურთელებზე გულახდილად მხოლოდ სატირიკოს-იუმორისტები წერენ, ან კარიკატურისტები ხატავენ.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ფეხბურთელების ხელაღებით კრიტიკას მხოლოდ ზიანი მოაქვს, მაგრამ როდემდე უნდა ეპატიოს სპორტსმენთა ერთ ჯგუფს აშკარად უპასუხისმგებლო დამოკიდებულება პირდაპირი მოვალეობისადმი? ერთხელ (მხოლოდ ერთხელ!) მიეცათ გულშემატკივრებს საშუალება გულახდილად გამოეთქვათ თავიანთი აზრი გუნდის თამაშზე. ეს იყო „ტორპედოსთან" თამაშის შემდეგ, მერე კი საზოგადოებრიობის წერილები ამ თემაზე არ გაჭაჭანებულა პრესაში. სულ ტყუილად! საზოგადოებრივ აზრს, უშუალო კონტაქტს მაყურებლებსა და მოთამაშეებს შორის უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ კი ამ ბასრ იარაღს ვაბლაგვებთ და, უნდა ითქვას, მაყურებლის მიზეზით კი არა...

„დინამომ" წლეულს სეზონის დასაწყისში, მართალი გითხრათ, დიდი შიში აჭამა თავის გულშემატკივრებს. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, თითქოს საქართველოს ფეხბურთელთა საუკეთესო გუნდს ოდესღაც უძლიერესი ხელბურთელთა კოლექტივის ბედი ემუქრებოდეს. პირიქით, მაგრამ ისიც მართალია, რომ იგი „გამოკეტილი" გუნდი არ უნდა იყოს. თუ მაყურებლები ეძებენ კონტაქტის გზებს კოლექტივის ხელმძღვანელობასთან, მოთამაშეებთან, არც მათ უნდა შეაქციონ ზურგი ქომაგებს. რატომ არ უნდა მოეწყოს პერიოდულად გუნდის შეხვედრები საწარმოთა კოლექტივებთან, სტუდენტებთან, სხვა სფეროების წარმომადგენლებთან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საზოგადოებრიობის აზრი, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება მხოლოდ ტრიბუნებიდან როდი უნდა გადაეცეს გუნდს. საამისოდ უმჯობესია გულახდილი, საქმიანი დიალოგი მაყურებლებსა და ფეხბურთელებს შორის.

**ვ. გოძიაშვილი,**
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო და რუსთაველის პრემიების ლაურეატი.

**რ. ლაღიძე,**
კომპოზიტორი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

**ვ. ფირცხალავა,**
საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი.

**ო. ჯინორია,**
თბილისის უნივერსიტეტის დოცენტი, გოეთეს საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები
ეროვნული ბიბლიოთეკა

# შრომა ამაღლებს ადამიანს

გავშვობიდანვე მარჯვე იყო. შინ დედას ხელიდან აცლიდა საქმეს, სკოლაში მასწავლებლებსახარებდა გულმოდგინებით, მახვილი გონებითა და მეხსიერებით. ხიდისთავის საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი, ამჟამად განსვენებული ვახტანგ ლუკაშვილი აღტაცებით იტყოდა ხოლმე: ჩვენი სკოლის მძლეოსანთა სიას მალე დაამშვენებს თამარ დაღელაშვილის სახელი. გორის რაიონში ბადალი მას ძნელად თუ აღმოაჩნდება.

მასწავლებლის წინასწარმეტყველება გამართლდა. სანამ თამარი სკოლას დაამთავრებდა, მას ხშირად ახსენებდნენ რაიონის მოწინავე მძლეოსანთა შორის.

თამარმა სკოლა დაამთავრა და გორის ბამბეულის კომბინატს მიაშურა, მრთველის პროფესიის შესწავლა გადაწყვიტა. ქალიშვილი მალე დაუახლოვდა ადგილობრივ ფიზკულტურის ორგანიზაციას. ჩვეულებრივი გატაცებით დაიწყო ვარჯიში სარბენ ბილიკზე. ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაუცავს კოლექტივის სპორტული ღირსება საქალაქო პირველობაში. მერე დაოჯახდა და ახლა ორი ბავშვი გაუხდა საზრუნავი, თუმცა სპორტისადმი სიყვარული ამას ოდნავაც არ გაუნელებია.

უკვე ათ წელზე მეტია გორელ ფეიქართა დიდ ოჯახში შრომობს თამარი და ერთხელაც არ შეურცხვენია თავი. მუდამ მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

ხუთი მანქანის 2000 თითისტარს ამუშავებს თამარი, ნორმაზე 750-ით მეტს. ყოველდღიურ დავალებას იგი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. ამიტომაც იყო, რომ პირადი ხუთწლიანი გეგმაც ვადაზე წელიწადნახევრით ადრე — 1973 წლის 9 ივნისს შეასრულა.

მრთველს მანქანების საათობრივი მომსახურების საკუთარი მეთოდი აქვს შექმნილი და დაზუსტებულ გრაფიკს მტკიცედ იცავს.

ყოველივე ეს მიიღო მხედველობაში ბამბეულის კომბინატის მრავალათასიანმა კოლექტივმა, როცა № 1 სართავი ფაბრიკის მოწინავე მუშა, ყოფილი სპორტსმენი თამარ ალექსანდრეს ასული დაღელაშვილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა გორის № 682 საარჩევნო ოლქში. მის კანდიდატურას მთელმა კოლექტივმა დაუჭირა მხარი.

თამარ დაღელაშვილმა ესოდენ დიდი ნდობის გამოცხადებისთვის მადლობა გადაუხადა ამხანაგებს და პირობა მისცა, რომ კვლავაც თავდადებით იშრომებს მშობლიური ფაბრიკისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გვჯერა, რომ ყველა ერთსულოვნად მისცემს ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ამ ღირსეულ კანდიდატს.

**ი. თევდორაშვილი.**
(ჩვენი კორ.).
გორი.

## 19 45

◆ ვილნიუსი, 21 მაისი. ლიტვის დედაქალაქის VI სპარტაკიადაში უკონკურსოდ მოასპარეზე კაუნასის დინამოელმა რ. პლუნგემ წლეულს სსრ კავშირში საუკეთესო შედეგს მიაღწია ბირთვის კვრაში — 20,20 მ. მან 63 სანტიმეტრით აჯობა ასევე ამ შეჯიბრების სტუმარსა და თავის მუდმივ მეტოქეს, შიაულიაიელ ზ. სკაპასს. ბოლო დროს ამ ორი მეტოქის ტრადიციული დუელი კარგ ნაყოფს გვაძლევს. მაგალითად, სკაპასმა სეზონის დასაწყისში უკვე ჰკრა ბირთვი 19,70 მეტრზე.

## პირველი და მესამე

ამას წინათ რიგაში გაიმართა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა პირველობა საგზატკეცილო მოტორბოლაში. შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწიეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპორტსმენებმა. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა კ. ცალქალამანიძემ ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა. რ. პატიაშვილი კი III ადგილზე გავიდა.

W·B·P
27·COURSE DE LA PAIX 1974

# მძაფრი, ლამაზი ფინიში

ლაბის უსტი (ჩეხოსლოვაკია), 20 მაისი. მშვიდობის XXVII ველორბოლის XII ეტაპი (სოკოლოვი — ლაბის უსტი, 158 კმ) გამარჯვებისთვის უაღრესად მწვავე ბრძოლით დასრულდა — დისტანციის ბოლო მეტრებზე, ადგილობრივი სტადიონის სარბენ ბილიკზე გაჩაღებულ სპურტში მონაწილეობდნენ რბოლის ლიდერი ს. შოზდა (პოლონეთი) და საბჭოთა ველოსიპედისტი ვ. ლიხაჩოვი. სტადიონის ბილიკზე ლიხაჩოვი პირველი შეიჭრა, მაგრამ მეორე ვირაჟთან შოზდამ პირდაპირ საოცარი ბიძგით გაუსწრო მეტოქეს და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი. ეს ფენომენალური პოლონელი მრბოლელის ზედიზედ მეოთხე გამარჯვებაა, სულ კი მან ამ რბოლაში 5 ეტაპი მოიგო (გაგახსენებთ: მშვიდობის ველორბოლის რეკორდი ლიხაჩოვს ეკუთვნის — შარშან მან 6 ეტაპი მოიგო). შოზდას დრო 3:41.50 (ბონიფიკაციის ჩათვლით).

ლიხაჩოვის მაჩვენებელია 3:42.00. III ადგილზეა ტარტუელი ა. პიკუუსი — 3:42.10. მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ნ. გორელოვი მეათე იყო — 3:42.20.

რბოლის ამ ეტაპზე შეჯიბრებას ტონს საბჭოთა ველოსიპედისტები აძლევდნენ, რომლებმაც საშუალედო ფინიშებზე და, საერთოდ, სამთო ეტაპზე გამოიჩინეს თავი. მათ მოიგეს კიდეც ეს ეტაპი — 11:05.52. II ადგილზე გავიდნენ პოლონელები (11:06.04), ხოლო III — ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები (11:06.46).

სსრ კავშირის ნაკრებმა ამ გამარჯვებით საერთო გუნდურ ჩათვლაში განიმტკიცა ვერცხლის პრიზიორის პოზიცია — 105:00.07. I ადგილზეა პოლონელთა კოლექტივი (104:57.20), ხოლო III — გდრ-ის ნაკრები (105:01.14).

პირად ჩათვლაში ლიდერობას, ცხადია, შოზდა ინარჩუნებს — 34:53.55. პრაქტიკულად მას უზრუნველყოფილი აქვს გამარჯვება ველორბოლაში, თუ რაიმე ფათერაკმა არ შეუშალა ხელი.

II ადგილზეა დ. გონშორეკი (გდრ) — 34:55.45. გერმანელ მრბოლელს სულ რაღაც 3 წამით ჩამორჩება III ადგილზე მყოფი გორელოვი.

პიკუუსს მეშვიდე შედეგი აქვს — 35:02.03.

• • •

სურათზე: ველოსიპედისტები ერთ-ერთ ეტაპზე ასპარეზობის დროს. წინა პლანზე არიან რბოლის ლიდერები — პოლონელი სპორტსმენები.

ცაფ — საკდესის ტელეფოტო.



# მაია ისევ წინაა

ბრაშოვი, 21 მაისი (ტელეფონით). 13 წლის თბილისელმა მოსწავლემ მაია ჩიბურდანიძემ რუმინეთის ამ საკურორტო ქალაქში მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ლიდერობა შეინარჩუნა. მან წინა დღეებში გადადებული ორივე პარტია ყაიმით დაამთავრა, ხოლო VIII და IX ტურებში შესაბამისად გაიმარჯვა პორუბსკისთან (უნგრეთი) და ბორისოვასთან (ბულგარეთი). აღსანიშნავია მაიას შეუპოვარი დაცვა მიელთან (გდრ) გადადებულ პარტიაში, სადაც მან მძიმე ენდშპილი ყაიმამდე მიიყვანა.

მ. ჩიბურდანიძეს 8 ქულა აქვს 9-დან!

დღეს შეჯიბრების მონაწილენი ისვენებენ.

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩი

## ალექსანდრია — შული 2:2

რიგა, 21 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ლატვიის საჭადრაკო კლუბში ნ. ალექსანდრია (თბილისი) — მ. შულის (ლვოვი) მატჩის IV პარტია შედგა.

პარტია ახალინდური დაცვით დაიწყო, მაგრამ თანდათან სიცილიური დაცვის შევენინგენის სისტემაში გადავიდა. ქართველი ოსტატი ამ სისტემის საუცხოო მცოდნეა და ეს მალე გამოჩნდა კიდეც, როცა ნანა ცენტრში გარღვევით ინიციატივას დაეუფლა.

პირველ 16 სვლას მეტოქეებმა სამ-ნახევარი საათი მოანდომეს, მერე კი სასტიკ ცაიტნოტში თამაშობდნენ. დროის ნაკლებობას განსაკუთრებით ალექსანდრია განიცდიდა.

ბრძოლა გამძაფრდა, როცა ალექსანდრია ცენტრალური პაიკით მეტოქის პოზიციაში შეიჭრა. შულს მხოლოდ იერიშზე გადასვლით შეეძლო მეტოქის ინიციატივის განელება.

ალექსანდრიამ დრო დაკარგა შულის „კარგი" მხედრის გაცვლის ცდაში. ამასობაში ლვოველმა იერიშიც დაიწყო. 36-ე სვლაზე ნანას თავისი ეტლები რომ შეეერთებინა, მისი პოზიცია კვლავ პერსპექტიული იქნებოდა, მაგრამ, რაკი ეს არ გააკეთა, იძულებული შეიქნა მსხვერპლად ლაზიერი გაეღო.

პარტია გადაიდო. მატერიალური უპირატესობა შულს აქვს, მაგრამ მე-2 ჰორიზონტალამდე მისული შავი პაიკი ალექსანდრიას დაცვის იმედს წარმოადგენს. მხოლოდ ღრმა ანალიზს შეუძლია სწორად შეაფასოს შეწყვეტილი პოზიცია.

გთავაზობთ IV პარტიას:

**შული — ალექსანდრია**

**ახალინდური დაცვა**

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 b6 4. e3 კb7 5. კd3 c5 6. 0—0 d6 7. მc3 მbd7 8. ლe2 კe7 9. e4 cd 10. მ:d4 0—0 11. f4 ეe8 12. მf3 ლc7 13. b3 ეad8 14. კb2 a6 15. ეae1 მc5 16. კb1 d5 17. e5 მfe4 18. ლc2 d4 19. მ:e4 კ:e4 20. ლd1 კ:b1 21. ლ:b1 d3 22. მd2 b5 23. მფh1 bc 24. მ:c4 ეd5 25. ლd1 მa4 26. კa1 მb6 27. მe3 ეd7 28. ლh5 კc5 29. მg4 მd5 30. ეf3 d2 31. ეd1 g6 32. ლh4 კe7 33. ლf2 h5 34. მf6+ მ:f6 35. ef კb4 36. ლe2 ეd5 37. f5 gf 38. ეg3+ ლ:g3 39. hg ეc8 40. ლ:h5 ეc2 41. ლg5+ მფf8 42. ლg7+ მფe8. პარტია გადაიდო.

43-ე სვლა შულმა ჩაიწერა. ეს პარტია დღეს დამთავრდა.

თამაშის განახლებისას გამოირკვა, რომ შულს სუსტი სვლა ჩაეწერა. უკეთესი იყო 43. ლg5. ნანას 44. ... ეc1 45. ლh5 კh6 რომ ეთამაშა f5—f4 გეგმით, შული ძნელად გადასაჭრელი პრობლემების წინაშე აღმოჩნდებოდა. ძლიერი იყო შულის 47-ე სვლა, რომელსაც თეთრების მეორე ლაზიერის გაცოცხლება მოჰყვა. 56-ე სვლაზე ალექსანდრია დანებდა, ვინაიდან ორი ლაზიერი შავ მეფეს ადვილად დაატყვევებდა.

აი, როგორ წარიმართა ეს პარტია:

43. ლg8+ (ჩაწერილი სვლა) კf8 44. ლg5 f4 45. ლ:f4 ეh5+ 46. მფg1 კc5+ 47. კd4 e5 48. ლg4 კ:d4+ 49. მფf1 ეh2 50. ლg8+ მფd7 51. ლ:f7+ მფc6 52. ლe6+ მფc7 53. f7 ეc1 54. f8ლ ეh1+ 55. მფe2 ეe1+ 56. მფd3. ალექსანდრია დანებდა.

ნ. ჟურავლიოვი,
ჟურნალ „შახმატის" პასუხისმგებელი მდივანი.

## ჩემპიონია ციური კობაიძე

საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. გადადებული პარტიების დამთავრება. ნ. იოსელიანი — თ. ხუგაშვილი 1:0, მ. ვაჩეიშვილი — ნ. მანველოვა 0:1, ც. კობაიძე — ც. კახაბრიშვილი 1:0, ქ. გეგიძე — ლ. თანდაშვილი 0,5:0,5, ქ. გაჩეჩილაძე — ე. ბაშინჯაგიძე 0:1, ვ. კუპრაშვილი — (ყველა — თბილისი) — იოსელიანი 0,5:0,5, ნ. ხუბულური (ონი) — კობაიძე 0:1, ხუგაშვილი — ვაჩეიშვილი 0,5:0,5, ხუბულური — ხუგაშვილი 0:1, იოსელიანი — ა. ჩაიკოვსკაია (თბილისი) 1:0, ვაჩეიშვილი — კუპრაშვილი 0:1.

დასკვნითი, XIX ტურის წინ კობაიძეს 14,5 ქულა აქვს, ჩაიკოვსკაიას — 13, კახაბრიშვილს, ხუგაშვილს — 12,5-12,5, მ. წერეთელს, ბაშინჯაგიძეს (თბილისი) — 12-12, იოსელიანს — 11,5, ნ. გურიელს (თბილისი) — 11.

ბოლო ტურის შეხვედრის შედეგის მიუხედავად, ოსტატ ც. კობაიძეს უკვე მოპოვებული აქვს საქართველოს ჩემპიონის სახელი. ვადამდე ეს წარმატება მას მოუტანა გადადებული პარტიების დამთავრებამ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კობაიძის შეხვედრას კახაბრიშვილთან. პარტია კობაიძეს მხედრების უკეთეს ენდშპილში ჰქონდა გადადებული. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. კობაიძემ გონებამახვილური თამაშით გაიმარჯვა 54-ე სვლაზე. მთავარი ბრძოლა მეტოქეებს წინადღით ჰქონდათ, როცა ინგლისურ დაწყებაში თანაბარი, მაგრამ უაღრესად დაძაბული თამაში გააჩაღეს. კობაიძეს უკეთესი შანსი მხოლოდ ენდშპილში გადასვლისას გაუჩნდა.

ჩაიკოვსკაია თამაშის განუახლებლად დანებდა იოსელიანს.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ხუგაშვილსაც ხელი მოეცარა. სამ გადადებულ პარტიაში მან მხოლოდ ერთ-ნახევარი ქულა მიიღო.

სწორედ ამ შედეგებმა გაუხსნა კობაიძეს ჩემპიონობისკენ გზა. ახალგაზრდა ოსტატი, რომლის მწვრთნელია ოსტატი ა. ბუსლაევი, ეს უკვე მეორედ გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი. მისი წარმატება სავსებით დამსახურებულია.

თ. ნინოშვილი.



სურათზე: საქართველოს ჩემპიონი ც. კობაიძე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## კვლავ ელიზბარ უბილავა!

გუშინწინ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, გაიმართა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა I ჩემპიონატი ელვისებურ თამაშში. ბრძოლაში 23 საერთაშორისო ოსტატი, ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი მონაწილეობდა.

მეტოქეებს თითოეული პარტიისთვის ხუთ-ხუთი წუთი ეძლეოდათ. შეჯიბრება თითქმის ექვს საათს გაგრძელდა.

თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო ოსტატმა ე. უბილავამ, რომელმაც ზედიზედ 14 პარტია მოიგო. მან ტემპი შემდეგაც შეინარჩუნა და 18 ქულით I ადგილი დაიკავა.

II ადგილზეა ოსტატი თ. გიორგაძე — 16,5 ქულა. III-IV ადგილები 15-15 ქულით გაიყვეს საერთაშორისო ოსტატმა რ. ჯინჯიხაშვილმა და ოსტატმა ა. ტუზოვსკიმ (სოხუმი), V-VI 13,5-13,5 ქულით — ოსტატმა ა. ბუსლაევმა და ოსტატობის კანდიდატმა გ. კალატოზიშვილმა, VII-VIII 12,5-12,5 ქულით — ოსტატებმა ა. ბლაგიძემ და ა. ბოკუჩავამ. IX ადგილზეა ოსტატი ჯ. ბერაძე (წყალტუბო) — 12...

პირველობის დახურვაზე საქართველოს პირველი ჩემპიონი ელვისებურ თამაშში ე. უბილავა, აგრეთვე, თ. გიორგაძე და რ. ჯინჯიხაშვილი (კოეფიციენტთა ცხრილით III ადგილი მას მიეკუთვნა) დიპლომებითა და საჩუქრებით დააჯილდოვდნენ.

ნ. იმესაშვილი.

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი ჭადრაკის ჩვეულებრივ და ელვისებურ თამაშში ე. უბილავა.

მ. ზარგარიანის ფოტო.



## ახალი სეზონი-74

● რიგა, 20 მაისი. დღეს ადგილობრივი სპორტის სასახლის სარბიელზე კვლავ გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები. ამჯერად იგი შეხვდა სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდს. თამაში საინტერესოდ წარიმართა და საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით დამთავრდა — 72:69. 23 და 24 მაისს ამერიკელები ორჯერ შეხვდებიან ესტონეთის კალათბურთელებს, ხოლო ბოლო მატჩს სტუმრები 26 მაისს ჩაატარებენ კიევში უკრაინის ნაკრებთან.



სურათზე: აშშ-სა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი. ეს იყო სსრ კავშირში სტუმრების ტურნეს მეოთხე მატჩი. ლენინგრადში გამართული შეხვედრა მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 81:68. შეტევაზეა ა. ბოლშაკოვი. მარჯვნივ — ბ. ჰარისი.

ნ. ნაუმენკოვის ტელეფოტო (საკდესი).

● დე-მოინი (აიოვის შტატი), 20 მაისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრები განაგრძობს ტურნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში: ამ ქალაქში მან მეორე მატჩი ჩაატარა და ამჯერადაც მასპინძელი ქვეყნის ნაკრები დაამარცხა. შეხვედრის ანგარიშია 85:59. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ლ. ალექსეევამ განაცხადა, რომ საბჭოთა გუნდის ყველა წევრმა ბრწყინვალედ ითამაშა. მათ უაღრესად გულთბილად შეხვდა მატჩზე მოსული რამდენიმე ათასი მაყურებელი.

[illegible]

### ცხინვალი

სამხრეთ ოსეთის პირად-გუნდურ ახალგაზრდულ პირველობაში მონაწილეობდნენ ქალაქ ცხინვალის, ჯავის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიონების თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. ზნაურის რაიონს გუნდი არ გამოუყვანია. ორდღიანი შეჯიბრების შემდეგ ჩემპიონები გახდნენ: ა. ჯიოევი, რ. რომელაშვილი, ი. ტასოევი, ნ. მარგიევი, ა. ალბოროვი, თ. სანაკოევი, დ. გაზაშვილი, ა. ურთქმელიძე (ყველა — ქ. ცხინვალი), ვ. თედეევი (ჯავა).

ვ. მელქოევი.

### ყვარელი

გაიმართა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში. თავისუფალ ჭიდაობაში გამარჯვება ყვარლის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდს ხვდა, ქართულ ჭიდაობაში კი ყველას აჯობა ჭიკაანის საშუალო სკოლის ნაკრებმა.

თ. კონჭოშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
ი. იორამიშვილი.

### ახმეტა

თავისუფალ ჭიდაობაში რაიონის მოსწავლეთა ჩემპიონის სახელისთვის 7 საშუალო სკოლის გუნდები იბრძოდნენ. გაიმარჯვეს ახმეტის მე-2 სკოლის მოსწავლეებმა (მწვრთნელი გ. ჩათურიშვილი). წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზ. ლოხიშვილი, ნ. ქაძე, ზ. ფიცხელაური, დ. დავითაშვილი, ვ. ცოცხალაშვილი, ნ. მახატლიშვილი, ზ. მჭედლიშვილი, ა. ომარაშვილი, ვ. ქივიძე, ვ. ქოჩიშვილი.

* * *

გაიმართა ამხანაგური შეხვედრები ფრენბურთსა და ფეხბურთში დუისისა და საკობიანოს სპორტსმენთა შორის. ფრენბურთში გაიმარჯვეს (2:1) საკობიანოს წარმომადგენლებმა, ხოლო ფეხბურთში — დუისელებმა (3:1).

ზ. ნათელაური.

### საჩხერე

ჭადრაკსა და შაშში გამართულ რაიონულ პირველობებში 100-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. რვაწლიანი სკოლების მოსწავლეთა შეჯიბრებაში ჩემპიონები გახდნენ: ჭადრაკში: ჭაბუკთა შორის — ი. კაპანაძე (გალმა არგვეთი), გოგონებში — ლ. პეტრიაშვილი (მოხვა), შაშში: ჭაბუკთა შორის — ა. კაპანაძე (ოროული), გოგონებში — ლ. ტყემალაძე (ჭორვილა). საშუალო სკოლების მოსწავლეთა ტურნირებში ჩემპიონობა დაისაკუთრეს: ჭადრაკში: ჭაბუკებში — მ. ქვათაძემ (არგვეთის პ. იაშვილის სახელობის სკოლა), გოგონებში — ო. აბრამიშვილმა (სარეკი), შაშში: ჭაბუკებში — გ. გურასაშვილმა (ველა), გოგონებში — ი. ბერიძემ (პერევი).

ა. ანასაშვილი.

## მორიგი ტირაჟები

მოსკოვი, 20 მაისი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი; მე-14 ტირაჟები.

აი, იღბლიანი ნომრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო": 4 (მთამსვლელობა), 15 (წყალბურთი), 23 (მძლეოსნობა), 27 (მოტოსპორტი), 29 (საპარაშუტო სპორტი), 32 (წყალში ხტომა).

„სპორტლოტო-2": 6 (კალათბურთი), 10 (საზუერო სპორტი), 13 (წყალსათხილამურო სპორტი), 25 (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), 26 (მოტობურთი), 40 (ტურიზმი).

## სტარტზე გამოსვლა ყველას შეეძლო

ნინა კვირას მოსკოვში ჩატარდა ცენტრალური ტელევიზიის თასის მეხუთე გათამაშება სპორტულ ორიენტირებაში. მართალია, შეჯიბრების მონაწილეებს ამინდი ხელს არ უწყობდათ, მაგრამ საასპარეზოდ სპორტის ამ სასარგებლო და რომანტიკული სახეობის 600 მოყვარულმა მოიყარა თავი. ამ შეჯიბრების სასიამოვნო თავისებურება ის გახლავთ, რომ სარბიელზე გამოსვლა ყველას შეუძლია. მონაწილეთა „საშვია" მხოლოდ „მოსკოვსკი კომსომოლეცისა" და „მოსკოვსკაია სპორტივნაია ნედელიას" ფურცლებზე გამოქვეყნებული რუკა.

ასე რომ, შემთხვევითი არ იყო, როცა აბალბედებს შორის გამარჯვება დედაქალაქის სტუმარმა, ოლაინენის (ლატვია) ქიმიური ქარხნის უფროსმა ინჟინერმა ვ. რაგოვსკამ, რომელიც მოსკოვში მივლინებით იყო ჩამოსული. მან სხვებზე სწრაფად აღმოაჩინა რამდენიმე საკონტროლო პუნქტი, რომელთა ადგილმდებარეობაც სტარტამდე, ცხადია, მოასპარეზეთა შორის არავინ იცოდა.

ყველაზე ნორჩ მონაწილეთა (10-12 წლის ბიჭები და გოგონები) შორის, რომლებსაც ერთმანეთისგან დაახლოებით 2-2 კილომეტრით დაშორებული ექვსი საკონტროლო პუნქტი უნდა ეპოვათ, ყველას აჯობეს მოსკოვის 307-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლემ ირა ალეევამ და მე-2 სკოლის მეექვსეკლასელმა გენა კაცევმანმა.

დასკვნითი, მეთორმეტე გარბენის შემდეგ მაყურებლებმა ტაშით დააჯილდოვეს 65 წლის ნ. ქუჩენკო და 70 წლის ე. ასტაფიევა. ვეტერანებმა ტყეში შვიდი საკონტროლო პუნქტი იპოვეს და სამ კილომეტრზე მეტი მანძილი დაფარეს.

უძლიერესთა — სპორტის ოსტატთა და პირველთანრიგოსანთა შორის ყველას აჯობეს ინჟინერ-კარტოგრაფმა თ. ანდრიუხოვამ და მოსკოვის გეოდეზიის, აეროფოტოგადაღებისა და კარტოგრაფიის ინჟინერთა ინსტიტუტის დიპლომანტმა გ. ახკასოვმა.

ყველამ, ვინც ტყის ტრასები წარმატებით გადალახა და საკონტროლო დროში ჩაეტია, ჯილდოდ მიიღო ტურიზმსა და ორიენტირებაში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მოწმობა.

[illegible]




# ცენტრალური წრე

ვ. ივანოვი

დიახ, მაშინ გეტებორგის სტადიონზე ჩვენ შევეცადეთ ტემპი დაგვევდო, უფრო ზუსტად, ეს უნებლიეთ მოგვივიდა, რადგან დაღლილობას ვერ კავუმკლავდით და პირველ ტაიმში მილწეულს დავჯერდით. ყველაფერი ხელახლა რომ გამეორებულიყო, არავითარ შემთხვევაში არ მივცემდით თავს ასე მოდუნების უფლებას, მაგრამ „საყრმემ რომ იცოდეს..." ჩვენ მოვდუნდით. კევანმა საჯარიმო მოედანზე მაღალი გადაცემა მიიღო, ამ მატჩში, მგონი, პირველად და უკანასკნელად გაექცა დაღლილ-დაქანცულ კრიჟევსკის, თავით დაარტყა და ჩვენს კარში პირველი ბურთი გაიტანა.

და მაინც, სპორტული სამართლის ყველა კანონის მიხედვით, ის თამაში ჩვენი იყო. ინგლისელები მეორე ტაიმში იმდენად არ გვჯობდნენ, რომ წაგებისთვის დაეღწიათ თავი. იაშინიც, როგორც მუდამ, შესანიშნავად თამაშობდა, დაცვაც საკმაოდ საიმედოდ მოქმედებდა და ჩვენც, ფორვარდები, დროდადრო ვჩნდებოდით მათს საჯარიმო მოედანზე. ერთი სიტყვით, ანგარიშის გაქვითვის რეალური შესაძლებლობა ინგლისელებს არ ჰქონიათ. იმ მატჩში გამარჯვება წაგვართვა უნგრელმა მსაჯმა ჟოლტმა, რომელმაც ინგლისელებს საკუთარი ხელით ჩააბარა ჩვენი ოფლით მოპოვებული ქულა, სწორედ ის ქულა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა სსრ კავშირის ნაკრების ბედში.

მატჩის დამთავრებამდე ასე შვიდი წუთით ადრე გაისმა სასტვენის ხმა და მსაჯმა 11-მეტრიანის ნიშანზე მიუთითა. ერთი წამით ადრე კი აი, რა მოხდა: ინგლისელმა თავდამსხმელმა ხცადა ისე დაერტყა, რომ ბურთს მის ასაღებად გამოსული კრიჟევსკისთვის გვერდი აევლო, და ფეხბურთელები ერთმანეთს შეეჯახნენ. ახლა ორივე გუნდის მოთამაშეები გაოცებისგან გაშეშდნენ: „რისთვის?!" მაგრამ ჟოლტი ულმობელი იყო: „ხარმაა..."

ახლა არ მინდა ვიკამათო, მართლაც იყო თუ არა ხარმა, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ კრიჟევსკის წესი არ დაურღვევია. არ მინდა იმიტომ, რომ აქ ყველაფერს მსაჯის შეხედულება წყვეტს. მაგრამ მე დღესაც მზად ვარ დავიფიცო რომ ყველაფერი ეს მოხდა საჯარიმო მოედნის ფარგლებს გარეთ, მისი ხაზიდან არანაკლებ ორი მეტრის დაშორებით. ეს დაინახა ყველა მოთამაშემ, ეს დაინახა მაყურებელთა უმეტესობამ, რომლებმაც მსაჯს ნამდვილი ობსტრუქცია მოუწყვეს, ეს დაინახეს ჟურნალისტებმა, რომლებმაც თავიანთს მიმოხილვებში სამარცხვინო დაღი დაასვეს „უსამართლო მოსამართლეს".

ამ ჩემპიონატში იაშინმა კიდევ აიღო პენალტი, მაგრამ ეს სხვა მატჩში მოხდა ამჯერად კი ისიც უძლური აღმოჩნდა. ანგარიში გახდა 2:2. თამაში ფრედ დამთავრდა.

ამ მატჩის შემდეგ ჩვენ ყველანი ორჭოფულ ხასიათზე ვიყავით. ერთი მხრივ საწყენი იყო, რომ გუნდს ხელ ტყუილუბრალოდ მოჰპარეს ქულა. ვგონებ არ იყოს, ქულების საკითხში წმინდა მერკანტილური მოსაზრებების გარდა, თავისთავად ფაქტი მსოფლიო პირველობაში ინგლისელებთან გამარჯვებისა დაამშვენებდა ჩვენი ფეხბურთის ისტორიას, გაახარებდა ჩვენს მინ დარჩენილ გულშემატკივრებს, გაზრდიდა მთელი ნაკრებისა და თითოეული მისი მოთამაშის აქციებს მსოფლიო ხარბიელზე. მეორე მხრივ, ჩვენ ოპტიმიზმით ვიყავით აღსავსე. ჩვენ ხომ ფაქტიურად მსოფლიოში ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს მოვუგეთ. ხრა მარტო მოვუგეთ, არამედ ტრიბუნები ვაიძულეთ ტაში დაეკრათ ჩვენთვის. ესე იგი ჩვენ მედლების სხვა პრეტენდენტებს არაფერში ჩამოვრჩებით, თუ უკეთესები არა ვართ, და შეგვწევს ძალა, რომ ნახევარფინალში გავიკაფოთ გზა. მეორე დღეს შვედური გაზეთები ერთხმად გვაქებდნენ. ბევრ სტატიაში აგინებდნენ მსაჯს, წერდნენ, რომ მისი გადაწყვეტილება აბსურდული და აუხსნელი იყო. მე განსაკუთრებით გამაკვირვა იმან, რომ ამ ხმებს შეუერთდა ინგლისელი მიმომხილველიც, „არსენალის" ყოფილი მოთამაშე.

ერთი სიტყვით, იმ მატჩის შემდეგ ჩვენ სიხარულს უფრო ვგრძნობდით, ვიდრე მწუხარებას. მაშინ ხომ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ ამ ერთადერთი ქულის დაკარგვა წინასწარი ტურნირის ცხრილში ასე ძვირად დაგვიჯდებოდა.

მაგრამ, სანამ ეს გაირკვეოდა, ბევრი განსაცდელის გადატანა მოგვიხდა. მათგან პირველი ავსტრიელებთან მატჩი იყო.

ჩვენ მოვიგეთ ეს შეხვედრა ანგარიშით 2:0 მაგრამ ის კმაყოფილება, რაც ინგლისელებთან მატჩში ვიგრძენით, ახლა არ მიგვიღია. ჩვენს მოქმედებაში არ იყო ის სილამაზე და სიმსუბუქე, რაც პირველ მატჩში. ახლა ჩვენ, უბრალოდ, მეტოქეზე მეტად გვწყალობდა ბედი და უკეთ გამოვიყენეთ საგოლე მომენტები, რომლებიც სხვათა შორის, ჩვენ ბევრად ნაკლები გვქონდა, ვიდრე მოწინააღმდეგეს. ჩვენ დიდხანს ვრჩებოდით ყრუ დაცვაში. თავიანთი საჯარიმო მოედნისკენ მცველების დასახმარებლად ფორვარდებსაც საკმაოდ ხშირად უხდებოდათ გადმონაცვლება. ზოგჯერ კი წინ მხოლოდ ორნი ვრჩებოდით — სიმონიანი და მე. აი, კიდევ როდის მოახდინა სასწაულები იაშინმა. ერთხელ იგი ერთი ძელიდან მეორემდე გადაფრინდა და მოიგერია ცარიელ კარში საშინელი სისწრაფით მიმავალი ბურთი. მეორე ტაიმში, როცა ანგარიში იყო 1:0 ჩვენს სასარგებლოდ, იაშინმა ბუცეკის მიერ კუთხეში ძლიერად დარტყმული პენალტი აიღო. სწორედ, რომ აიღო — ბურთი თითქოს მიეწება მის ხელთათმანებს.

ავსტრიელი თავდამსხმელები სხვადასხვა დისტანციიდან ცხრილავდნენ ჩვენს კარს. განსაკუთრებით სახიფათოდ ურტყამდნენ ცენტრალური ხაზის მოთამაშეები — ჰანაპი, ხორაკი და ბუცეკი. უკვე შინ დაბრუნების შემდეგ ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე ამ მატჩის რეპორტაჟი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ვალენტინ ივანოვმა ამ მოთამაშეებს სამი კვანი უწოდა". გულახდილად რომ ვთქვა, არ მახსოვს, როდის ვთქვი ეს. ვფიქრობ, ან მატჩის დამთავრებისთანავე, ან შესვენებაზე. მაშინ მათი იერიშის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფს მართლაც შეიძლებოდა ასე მეფიქრა, მაგრამ მერე, როცა ვნებათა ღელვა დაცხრა და გონებაში ბრძოლის სურათი აღვიდგინე, მეც და ყველა ჩვენგანსაც უნდა გვეღიარებინა, რომ ჩვენი მეორე მეტოქე კლასით ჩამოუვარდება პირველს, საკვირველია, ის ძლიერია ფიზიკურად, მტკიცე და დაუცხრომელია, მაგრამ თამაშის დონე ინგლისელებს უფრო მაღალი აქვთ.

მაშ რატომ ვერ შევძელით ავსტრიელებთან ისევე ბრწყინვალედ გვეთამაშა, როგორც ინგლისელებთან? არსებობს პასუხები ცხოვრების ყველა შემთხვევაზე: ზედიზედ ორჯერ კარგად ვერ ითამაშებ. კაცმა რომ თქვას, მართლაც ასეა. და მაინც, იყო უფრო მნიშვნელოვანი მიზეზები. ვფიქრობ, რომ მომავლისთვის მეორე თამაშშიც კარგი გაკვეთილი მივიღეთ, რომელმაც, სხვათა შორის, ისევე როგორც პირველმა, ბევრი ვერაფერი გვარგო.

ინგლისთან და ავსტრიასთან მატჩებს შორის შუალედი ორი დღე იყო. ერთი შეხედვით, ასეთი მოკლე ანტრაქტი ჩვენ მხოლოდ ხელს გვაძლევდა. ახლა მსოფლიო ფეხბურთის უძლიერესი გუნდები ფიზიკური მომზადების დონით გათანაბრებული არიან, მაშინ კი ეს ჩვენს თითქმის მთავარ კოზირად ითვლებოდა და, რამდენადაც ყველა გუნდი ერთნაირი ინტერვალით თამაშობდა, ავსტრიელები, რომლებმაც პირველ დღეს ბრაზილიელებთან წააგეს, ჩვენზე მეტად უნდა დაღლილიყვნენ.

მაგრამ საერთო გამძლეობის გარდა არსებობს სპეციალური გამძლეობაც. შინ ჩვენ სამ დღეში ერთხელ არასოდეს გვითამაშია. ეროვნულ ჩემპიონატში ასეთი რეჟიმი ჩვეულებრივია. საჭიროა ტურნირი ხანგრძლივია და მოჭიანცულ რიტმს ვერავინ გაუძლებს. მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებისას ნაკრებს შეეძლო ეშოვა სპარინგ-პარტნიორები და ჩაეტარებინა თამაშების რამდენიმე ციკლი მინიმალური შუალედებით მე უკვე მქონდა შემთხვევა მელაპარაკა იმის თაობაზე, რომ საზღვარგარეთ ასეთ სკოლას კლუბებიც გადიან მინი-ტურნირებში. ჩვენ ახლა ზურგს უკან ოთხი მსოფლიო პირველობა გვაქვს, მაგრამ სერიოზული დასკვნები მაინც ვერ გამოვიტანეთ.

ჩვენი გუნდისთვის ყველაზე იღბლიანი 1966 წლის ჩემპიონატი იყო, როცა ნახევარფინალამდე მისვლა შევძელით. საქმე მარტო ის კი არაა, რომ ინგლისში ცოტა კენჭისყრა დავეხმარა, რომელმაც ჯგუფურ ტურნირში სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიო ფეხბურთის მხოლოდ ერთ „გრანდს" — იტალიას შეახვედრა, ორი დანარჩენი კი (კსდრ და ჩილი) უფრო დაბალი რანგისა იყო. ძირითადია ისიც, რომ ჯგუფში ბოლო მატჩს—ჩილიელებთან — ჩვენთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა და მთავარ მოთამაშეებს ამოსუნთქვის საშუალება მიეცათ. ამან ძალიან შეგვიწყო ხელი მეოთხედფინალში უნგრელთა გუნდის დამარცხებაში. სხვა ტურნირებში ასეთი ამოსუნთქვის საშუალება არ გვქონია.

მაგრამ მე არ დამიმთავრებია ლაპარაკი ავსტრიელებთან მატჩის შესახებ. ამ შეხვედრაში გამოვლინდა ჩვენი იმდროინდელი გუნდის ერთი ღირსება — სწრაფი კონტრშეტევის ორგანიზების ცოდნა. ორივე გოლი სწორედ კონტრშეტევების შემდეგ გავიდა. პირველ ტაიმში კესარევმა რომელიღაც თავდამსხმელს წაართვა ბურთი და გარღვევაზე გაიყვანა საშა ივანოვი. მან თავის ფრთაზე გადაინაცვლა, ბურთი საჯარიმო მოედნის ხაზამდე მიიტანა და ცენტრში გადმოაწოდა. ბურთი ჩემსკენ იყო გადმოწოდებული — მე უკვე შევირბინე საჯარიმო მოედანზე და ხელსაყრელ მდგომარეობაშიც [illegible]. ბურთის მისაღებად [illegible] უეცრად მიწაზე [illegible] გამომდეს. [illegible] ნის ხმას გავიგონებ და პენალტს დანიშნავენ-მეთქი, მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა. ბურთი მიუგორდა ტოლია ილინს, რომელიც ჩემგან ოდნავ მარცხნივ მორბოდა, და მან ორი მოთამაშის გარემოცვაში შეუჩერებლად დაარტყა კუთხეში.

გოლის გაშვების მერე ავსტრიელებმა ენერგია გააორკეცეს. ამ მომენტიდან, თამაშის მე-15 წუთიდან, ძალიან გაგვიჭირდა. მეორე ტაიმის დასაწყისში ვიქტორ ცარიოვმა ავსტრიელი ფორვარდი წააქცია, იაშინმა კი პენალტი აიღო და გადაგვარჩინა (ვინ იცის, რა მოხდებოდა, ანგარიში 1:1 რომ გამხდარიყო). 63-ე წუთზე ისევ ჩვენი კონტრშეტევა დაიწყო. გამოგიტყდებით, დიდხანს ველოდი ამ მომენტს. ჩემს წინააღმდეგ თამაშობდა კოლერი, ნახევარმცველი, რომელიც უფრო წინა ხაზისკენ მიისწრაფოდა. მეც მასთან ერთად ჩვენი კარისკენ დახევა მიხდებოდა, მაგრამ მაინც იმედი მქონდა, რომ ვიხელთებდი წუთს, როცა კოლერი ზედმეტად გაერთობოდა შეტევით და ბურთიანად გავექცეოდი. ბოლოს და ბოლოს, ასეც მოხდა. ბურთი მინდვრის შუაგულში ჩავიგდე და წინ გავვარდი. მარცხნივ სიმონიანი მორბოდა. ჩვენს წინ მხოლოდ მათი ცენტრალური მცველი ტრიალებდა. არც ის იყო კარგ დღეში. ჩემზე თავდასხმა არ შეიძლებოდა: სიმონიანს მივცემდი ბურთს და მას უკვე აღარაფერი შეუშლიდა ხელს. ავსტრიელი სტოპერი სულ უკან და უკან იხევდა, რათა თავდაპირველი დისტანცია შეენარჩუნებინა. ასე მივრბოდით სამნი: მე და სიმონიანი წინ, ის—თავისი კარისკენ. ბოლოს იგი 11-მეტრიანის ნიშანთან აღმოჩნდა, ჩვენი საჯარიმოს ხაზზე. აქ მცველმა ვეღარ გაუძლო, თავი დაიზღვია შესაძლებელი პასისგან და ოდნავ მარცხნივ, სიმონიანისკენ გადაინაცვლა. მე დავინახე, რომ ჩემთან ახლოს კარის კუთხე ღია იყო, ბურთი სამი მეტრით წინ გავიგდე და ამ კუთხეში დავარტყი. ანგარიში გახდა 2:0 და ავსტრიელებიც ასე თუ ისე დაცხრნენ. მატჩის ბოლო მესამედი ჩვენთვის შედარებით იოლი იყო.

ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ არც მე და, ვფიქრობ, არც დანარჩენები, მაინც არ ვიყავით ისე მხნედ, როგორც პირველი თამაშის შემდეგ. ამ მატჩს, მეორეს, არ შეეძლო ნამდვილი კმაყოფილება მოეტანა. ცდება ის, ვინც ფიქრობს, თითქოს ფეხბურთელებისა და მწვრთნელებისთვის მარტო შედეგს აქვს მნიშვნელობა. შედეგი, რასაკვირველია, ყველაზე მთავარია. მაგრამ როცა გრძნობ, რომ ისე არ ითამაშე, როგორც შეგეძლო, ნამდვილ კმაყოფილებას და სიხარულს ვეღარ განიცდი.

დილით კი ჩვენთან, ხინდოსში, ბესკოვი ჩამოვიდა. იგი დაესწრო ბრაზილია-ინგლისის მატჩს და აღსავსე იყო შთაბეჭდილებებით. მისი აზრით, ჩვენ გველოდა მატჩი ჩემპიონატის უძლიერეს გუნდთან. ჩვენთვის აღმოჩენა იყო ის ამბავი, რომ ბრაზილიელები, რომელთა ვირტუოზული ტექნიკის შესახებ უწინაც ბევრი გვესმოდა, ისე იყვნენ მომზადებული, რომ შეეძლოთ ნებისმიერი ტემპისთვის გაეძლოთ მთელი ოთხმოცდაათი წუთის განმავლობაში, თამაშობდნენ ტაქტიკური გეგმის მკაცრად დაცვით. ჩვენ გვეგონა, რომ ბრაზილიელები მაინცდამაინც გამძლენი არ იყვნენ და ტაქტიკაში უმთავრესად იმპროვიზაციის იმედი ჰქონდათ.

ტაქტიკის შესახებ ბესკოვი განსაკუთრებით დაწვრილებით ლაპარაკობდა. მისგან გავიგეთ, რომ ბრაზილიის ნაკრებში ოთხი მცველი და ოთხი თავდამსხმელია, დროდადრო კი წინა ხაზის მოთამაშეთა რიცხვი ორამდეც კლებულობს. თუ არ ვცდები, ჩვენში პირველმა სწორედ მან განსაზღვრა ბრაზილიელთა განლაგების სქემა ახლა საყოველთაოდ ცნობილი არითმეტიკული ფორმულით: 4+2+4. რაც მთავარია, ბესკოვის ნაამბობის მიხედვით გამოდიოდა, რომ ეს სქემა ბრაზილიელი ფეხბურთელების შესრულებით შეტევის უმახვილესი იარაღი იყო. ამ გუნდში განსაკუთრებით სახიფათო იყო დაცვის ფუნქციებისგან თავისუფალი მოთამაშე, ასე ვთქვათ, წმინდა დისპეტჩერი დიდი. იგი წარმართავდა მთელს თამაშს. ბურთი მუდამ პოულობდა დიდის, რომელიც მთელ მინდორზე დანავარდობდა, ის კი ბურთებს ფორვარდებს შორის ანაწილებდა, რამდენადაც ზედმიწევნით ფლობდა გადაცემათა ყველა ნაირსახეობას.

მე მუდამ მაოცებდა ბესკოვის „თამაშის წაკითხვის" ხელოვნება. როგორც მალე დავრწმუნდით, იგი არც ამჯერად შემცდარა და უზუსტესი შეფასება მისცა ჩვენს უახლოეს პარტნიორს. ესაა, ბესკოვმა ვერაფერი თქვა გარინჩას და პელეს შესახებ, ვინაიდან ინგლისელებთან მათ არ უთამაშიათ.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 42, 45, 46, 47, 56, 57, 60, 61, 64, 66, 70, 71, 75, 82, 83, 90, 92, 95, 97, 98.

ფეხბურთი

## ოდესაში — 0:1

20 მაისს ოდესის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ გუნდებს შორის.

თამაში მიმდინარეობდა მაღალი ტემპით, საინტერესოდ. საბჭოთა ფეხბურთელებმა ვერ გამოიყენეს გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, ჩეხოსლოვაკიელებმა კი 63-ე წუთზე წარმატებით დააგვირგვინეს თავიანთი ერთ-ერთი კონტრშეტევა: ნეჰოდამ შორიდან ზუსტად დაარტყა კარში და რუდაკოვი, რომელიც კარიდან წინ იყო გამოსული, ვერ შესწვდა ბურთს. ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა სტუმრებს.

მატჩის შემდეგ ჩეხოსლოვაკიელთა მწვრთნელმა ვ. ეჟეკმა შემდეგი განაცხადა: საბჭოთა ფეხბურთელთა მძლავრი იერიშების წინააღმდეგ ჩვენ გამოვიყენეთ სწრაფი კონტრიერიშების ტაქტიკა და მან წარმატება მოგვიტანა. საბჭოთა გუნდიდან მომეწონა ოლშანსკისა და ბლოხინის თამაში, ჩვენი გუნდიდან აღვნიშნავ პივარნიკს და ონდრუშს.

მეტოქეებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: სსრ კავშირი — რუდაკოვი, ძოძუაშვილი (ბურიაკი), ოლშანსკი, ლოვჩევი, კაპლიჩნი, კოლოტოვი, ტროშკინი, კონკოვი, შეპელი, ონიშჩენკო, ბლოხინი; ჩეხოსლოვაკია — ვიქტორი (ვენცელი), პივარნიკი, დობიაში, ონდრუში, რიგელი, პანენკა, ბიჩოვსკი, შვედლიკი (იუროვსკი), კუნა (ვოიაჩეკი), ჩერმაკი (პიკარიკი), ნეჰოდა. მსაჯობდა ე. აქსელრუტი (შვეცია).

## ფინალისტები გამოვლინდნენ

შედგა მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატის ნახევარფინალური შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელებმა პირველი მატჩი ფრედ (0:0) დაამთავრეს ბათუმის „დინამოსთან", მეორე კი წააგეს — 2:3.

თბილისის განათლების განყოფილებისა და ახალგაზრდულ საფეხბურთო სკოლის პირველი მატჩი ფრედ (1:1) დამთავრდა, განმეორებით შეხვედრაში კი გაიმარჯვეს ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებმა — 1:0.

31 მაისს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართება გათამაშების დასკვნითი შეხვედრები. I ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდებიან თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი და ბათუმის „დინამო", ხოლო III ადგილისთვის — ქუთაისის „ტორპედო" და თბილისის განათლების განყოფილების გუნდი.

## საყურადღებო მონოგრაფია

ახალი წიგნები

ახლახან წიგნის ბაზარზე გამოვიდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგის, დოცენტ ვ. ელაშვილის პედაგოგიურ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა „ფიზიკური კულტურის ქართული ხალხური ტრადიციები და თანამედროვეობა" (რუსულ ენაზე).

ნაშრომი 307 გვერდს შეიცავს და შედგება სამი ძირითადი განყოფილებისგან: 1. ხალხურ-ეროვნული ფიზიკური აღზრდის არსი, 2. საქართველოს მთიანეთის ფიზიკური აღზრდის სისტემა, 3. ფიზიკური აღზრდის ხალხურ-ეროვნული საშუალებების ადგილი თანამედროვე ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის პრაქტიკაში.

მდიდარი ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური და ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების სათანადო ანალიზის საფუძველზე ავტორი გვაცნობს ფიზიკური კულტურის ხალხურ ტრადიციებს.

შესავალში იგი აყალიბებს განსახილველ ამოცანებს, კრიტიკულად მიმოიხილავს ამ საკითხების ირგვლივ ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ შრომებს.

მონოგრაფია ხალხურ-ეროვნული ფიზიკური აღზრდის არსის გარკვევით იწყება. მერე ადგილი ეთმობა ფიზიკური აღზრდის საშუალებათა კლასიფიკაციას, რელიგიის დამოკიდებულებას ფიზიკური აღზრდის ხალხურ საშუალებებთან, მოცემულია ხალხური, ეროვნული, კლასიკური და საერთაშორისო სპორტის სახეობების განსაზღვრა-განმარტებები.

მეორე თავში ლაპარაკია საქართველოს მთიანეთში გავრცელებულ ფიზიკური აღზრდის ხალხურ საშუალებებზე. მესამე თავში მოცემულია რეკომენდაციები ფიზიკური აღზრდის ხალხურ საშუალებათა დანერგვისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სარეცენზიო ნაშრომში გვხვდება ზოგიერთი უზუსტობაც, ჩვენი აზრით, საჭირო და სასარგებლოა მისი გამოქვეყნება ქართულ ენაზეც, ვინაიდან ფიზიკური აღზრდის თეორიაში ასეთი მნიშვნელოვანი მონოგრაფიული გამოკვლევებით ქართველი მკითხველი განებივრებული არ არის.

ვ. აფრიდონიძე,
ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე.

# ფეხბურთის დღესასწაული

დიდი ხანია თბილისის კიროვის სახელობის პარკში ასეთი გამოცოცხლება არ გვინახავს. პარკის ხეივნებში იდილიური მყუდროება სუფევს. თბილისელებს აქ უყვართ დასვენება, გართობა, ჭადრაკის მშვენიერ სასახლესთან თავმოყრა. მაგრამ რარიგ უხდება ჭალარა, თუმცა მარად ახალგაზრდა პარკს სპორტსმენთა ჟრიამულიც. სამწუხაროდ, ბოლო დროს პარკის სპორტულ ბაზებს ქრონიკული მოწყენილობა დაეუფლა. ამ მოედნებს კი ახსოვთ დიდი შეჯიბრებები: აქ ჩატარებულა უთვალავი სპორტული ღონისძიება, რომლებიც მაგნიტივით იზიდავდნენ ათასობით გულშემატკივარს.

მოგონებები შორს წაგვიყვანს. ერთი რამ კი ფაქტია: კიროვის პარკის სპორტულმა ბაზებმა ძველებური ელვარება დაკარგეს.

„ნამდვილი" სპორტსმენებისგან ესოდენ მიტოვებულმა მოედნებმა საუცხოო სამსახური გაუწია სპორტის თავდადებულ მოყვარულებს. მათთვის თითქოს არც არსებობს წელიწადის დრონი. გაგანია ზაფხულში თუ ცივ ზამთარში აქ ნახავთ ათობით ენთუზიასტს, რომლებიც სპორტში პოულობენ ენით აუწერელ სიამოვნებას. მორბენლები, ხელბურთელები და, რა თქმა უნდა, ფეხბურთელები...

აი, იმ მოყვარულ, უფრო სწორად, ენთუზიასტ სპორტსმენთა სია, ვინც არც ერთ შაბათ-კვირას არ აცდენს იმპროვიზებულ სპორტულ სანახაობაში მონაწილეობის მისაღებად. უსაქმურსა და ხულიგანს აქ არაფერი ესაქმება. ესენი, როგორც ამბობენ, მშრომელი, საქმის ხალხია და სპორტსაც უანგაროდ მისდევენ. აქ თამაშობენ შებალეობა-შევეხაძეობა-შეღვიხეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გუნდი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის ანალიზური ქიმიის კათედრის გამგე ვიქტორ ერისთავი, ცენტრალური საავადმყოფოს ექიმები ზურაბ ანიკაშვილი და ნუკრი ღონღაძე, ინჟინრები დავით და კოტე ებანოიძეები, ფარმაცევტი თეიმურაზ გიგინეიშვილი, მეცნიერ-მუშაკი სიომა ციციშვილი, ასპირანტი რამაზ დოკვაძე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი რამაზ ჩიხლაძე, ეკონომისტი ზურაბ ასათიანი, მხატვარი ვახტანგ რურუა და სხვ.

შესავალი ცოტა გაგვიგრძელდა, მაგრამ დაე იცოდნენ მთელი რესპუბლიკის სპორტის მოყვარულებმა, რომ ორგანიზებული სექციების, ჯგუფების, ნაირნაირი წრეების გარეშეც სპორტის ჭეშმარიტმა ქომაგმა და მიმდევარმა ყველგან შეიძლება მოძებნოს სავარჯიშო თუ სათამაშო ადგილი.

მაშ ასე, ჩვენ გვინდა გაგაცნოთ კიროვის სახელობის პარკის მოედნების „უსახელო" სპორტსმენები. ამჯერად, მოდით ფეხბურთით შემოვიფარგლოთ.

აქ უვარჯიშია და უთამაშია ენთუზიასტ ფეხბურთელთა რამდენიმე თაობას. ეს არის თავისებური კლუბი. მას არ გააჩნია ის ატრიბუტები, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია თანამედროვე მაღალგანვითარებული ფეხბურთი. ნიშნავს ეს იმას, რომ აქაური ფეხბურთი არაორგანიზებულად უნდა მივიჩნიოთ? სრულიადაც არა. და აი, საბუთი: ალბათ ძალიან ბევრმა არ იცის, რომ „კიროველები" ამხანაგურ მატჩებში შეხვდნენ თვით თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს და რამდენიმეჯერ აჯობეს კიდეც. თამაში დიდ მინდორზე არ ყოფილა. ეს იყო მინი-ფეხბურთი, მატჩები ხელბურთის მოედანზე გაიმართა. თანაც დინამოელებმა დიდსულოვნება გამოიჩინეს მეტოქეთა მიმართ და ყოველ თამაშში ერთი ფეხბურთელით ნაკლები გამოჰყავდათ. მერე რა, ეს ოდნავადაც არ ამცირებს „კიროველთა" ფეხბურთის ღირსებას. სხვათა შორის, დინამოელებთან მოგება პირველ ყოვლისა ეწყინათ თვით... გამარჯვებულებს.

კარგა ხანს ადგილობრივ ფეხბურთელთა მატჩები მართლაც ეგრეთ წოდებული „ველური" სისტემით იმართებოდა. მაგრამ მერე ენთუზიასტებმა იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს — ჩვენ ნამდვილი, ოფიციალური ტურნირების მოწყობაც შეგვიძლიაო. ამ წამოწყებას სათავეში ჩაუდგა მიხეილ ასათიანი, რომელსაც სხვადასხვა ორგანიზაციამაც დაუჭირა მხარი. მოედანი არის, ფორმები აქვთ, სურვილი — ულევი. ტურნირი 8 მარტს დაიწყო. მაგრამ „კიროველებს" დიდი უბედურება დაატყდათ თავს: ტრაგიკულად დაიღუპა ტურნირის მონაწილე, ექიმი გია ხომასურიძე. რაღა თქმა უნდა, შეჯიბრება აღარ გაგრძელებულა. იგი მაისისთვის გადაიტანეს და მეგობრის სახელი დაარქვეს — გია ხომასურიძის ხსოვნის თასის გათამაშება.

და აი, 8 მაისს კიროვის პარკის სპორტული ბაზის დირექტორმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა სტუმართმოყვრულად გაუღო კარი თბილისის უბნების პირველობას მინი-ფეხბურთში. ცხადია, მონაწილეებთან ერთად აქ ასობით გულშემატკივარიც იყო.

ფეხბურთის ჭეშმარიტი დღესასწაული! სხვანაირად ვერც დაარქმევ ასპარეზობას, რომლის ორგანიზაციული მხარე, მაღალი დონე, მონაწილეთა და მაყურებელთა შესაშური დისციპლინა თვითნაბად ტალანტებთან შეხვედრით გამოწვეული ენით გამოუთქმელი სიამოვნება საოცრად კარგ ატმოსფეროს ქმნიდა. ეს აღნიშნა ყველა იქ მყოფმა. „კიროველებს" გულშემატკივრობდა ქართული ფეხბურთის მშვენება ბორის პაიჭაძე, რომელიც სხვებთან ერთად ადევნებდა თვალს სიჭაბუკის, ძალის, ოსტატობის თავისებურ აღლუმს.

გია ხომასურიძის მემორიალში მონაწილეობდა 16 გუნდი, რომლებიც დაყოფილი იყვნენ ოთხ ჯგუფად. თითოეული ჯგუფიდან მომდევნო საფეხურზე თამაშის უფლებას იღებდნენ I-II ადგილებზე გასული კოლექტივები. მერე შეჯიბრება ჩატარდა ოლიმპიური სისტემით.

დაძაბული და ლამაზი შეხვედრების შემდეგ ფინალში გავიდნენ „ვერა" და „თბილისი". ეს იყო ჭეშმარიტი ოსტატობის და გამარჯვებისკენ დაუოკებელი ლტოლვის დემონსტრაცია... თამაში უფრო საინტერესო იქნებოდა, მსაჯს შეცდომა რომ არ დაეშვა: ვერელმა ზ. მაისურაძემ ულამაზესი ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში, მაგრამ მსაჯმა რატომღაც არ ჩათვალა ეს გოლი. „ვერამ" თამაში ვეღარ ააწყო და დამარცხდა — 0:2.

გ. ხომასურიძის პრიზი „თბილისს" (ს. ციციშვილი, ზ. ანიკაშვილი, მ. მამულაშვილი, რ. ჩიხლაძე, რ. დოკვაძე, რ. ცირეკიძე) ხვდა. III ადგილზე გავიდა „მთაწმინდა".

ტურნირის მონაწილენი სპეციალური პრიზებით დააჯილდოვეს. საუკეთესო მეკარედ აღიარეს ზურაბ შურღაია („ვაკე"), საუკეთესო მცველად — ზურაბ ანიკაშვილი, საუკეთესო თავდამსხმელად — რამაზ ჩიხლაძე (ორივე — „თბილისი").

პირველი ბომბარდირის პრიზი ხვდა ზაზა გომართელს („მთაწმინდა").

გაზეთ „ლელოს" სპეციალური პრიზი — „ყველაზე ტექნიკურ მოთამაშეს" — ნუკრი ღონღაძეს („მედიკი") ერგო. ტურნირის ყველაზე საზრიან მოთამაშედ დაასახელეს ზურაბ მაისურაძე, ყველაზე თავდადებულად — ირაკლი ცინცაძე (ორივე — „ვერა").

გაზეთ „ლელოს" სიგელებით დააჯილდოვდნენ კიროვის პარკის მინი-ფეხბურთის ყველაზე ერთგული მიმდევრები თეიმურაზ გიგინეიშვილი („ჭაშნიკი") და დავით ებანოიძე („ძველი ვერა").

ერთი სიტყვით, თბილისის უბნების პირველობამ მინი-ფეხბურთში დიდი სიამოვნება მოჰგვარა მაყურებლებს. კარგი იქნება, თუ ეს შეჯიბრება ტრადიციულად გაიმართება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ამგვარ შეჯიბრებებს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს.

ა. გოგელია.

• • •

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული „თბილისის" გუნდი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.





სურათზე თქვენ ხედავთ „ვერის" და „თბილისის" შეხვედრის მომენტს. შავ ფორმაში გამოწყობილი სპორტსმენი (შუაში) „მინდვრის" მოთამაშე არ გეგონოთ. ეს თბილისელთა მეკარე ს. ციციშვილი გახლავთ. იგი დროდადრო მინდორზეც ეხმარებოდა თანაგუნდელებს.

## სმირნოვა და ულანოვი... საბალეტო დასში

დიდი სპორტი დატოვა ფიგურული ციგურაობის კიდევ ორმა საბჭოთა ოსტატმა. ესენი არიან მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორები ლ. სმირნოვა და ა. ულანოვი. ამ წყვილს დიდი დამსახურება მიუძღვის საბჭოთა სპორტის განვითარებაში. სმირნოვასა და ულანოვის გამოსვლები მუდამ მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. მათი პროგრამა სავსე გახლდათ რთული ტექნიკური ილეთებით, ტემპიანი და, ამავე დროს, საოცარი ლირიზმით გამსჭვალული ელემენტებით.

მაყურებელთა გასახარად, მოსკოველ ცოლქმარს საყვარელი სახეობა საბოლოოდ არ მიუტოვებია, ამიერიდან ისინი მოსკოვის საბალეტო დასში გამოვლენ. ახალ ამპლუაში მათი დებიუტი უკვე შედგა მოსკოვის ყინულზე საბალეტო დასის ახალ პროგრამაში, რომელსაც „ცისარტყელას შვიდი ფერი" ჰქვია.

სხვათა შორის, ამავე დასში გამოდის კიდევ რამდენიმე ცნობილი სპორტსმენი, მაგალითად, ტ. ვოიტიუკი, ა. ბოიჩუკი და სხვ.

წარმატება ვუსურვოთ შესანიშნავ წყვილს ახალ სარბიელზე.

(ჩვენი კორ.).

მოსკოვი.

## პირველი გამარჯვება

ნიუ იორკი, 20 მაისი, „სტენლის თასის" — პროფესიული ჰოკეის ყველაზე საპატიო პრიზის გათამაშებათა ისტორიაში პირველად გაიმარჯვა „ფილადელფია ფლაიერზმა", რომელიც დღემდე არასოდეს ყოფილა ჰოკეის ეროვნული ლიგის ელიტაში.

ამერიკის ქალაქ ფილადელფიის ჰოკეისტებმა კლუბ „ბოსტონ ბრიუინზთან" გამართული ექვსი მატჩიდან ოთხი მოიგეს, რაც აუცილებელი იყო პრიზის მოპოვებისთვის. ასე რომ, დასკვნითი, მეშვიდე შეხვედრის ჩატარება საჭირო აღარ გახდა.

ფილადელფიელთა გამარჯვებას, რომელთაც ეგრეთ წოდებული „ბრწყინვალე ვარსკვლავები" არც კი ჰყავთ (გამონაკლისად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ სეზონში საუკეთესოდ აღიარებული მეკარე პარენტი და თავდამსხმელი კლარკი), ხელი შეუწყო კოლექტიურმა თამაშმა, რაც საერთოდ არ ახასიათებთ პროფესიულ გუნდებს. ზოგჯერ „ფლაიერზის" მონაწილეობით გამართულ მატჩებში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მინდორზე ფილადელფიელები ჭარბობდნენ: შაიბისთვის მთელი გუნდი იბრძოდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფილადელფიელები გამოირჩეოდნენ დაცვაში თავგანწირული თამაშით, მთელს მოედანზე გაშლილი პრესინგით, ზუსტი გადაცემებით. მართალია, ზოგჯერ ისინი თვით პროფესიული ჰოკეისთვისაც კი ზედმეტად „მკაცრად" თამაშობდნენ.

როცა ფინალური სერია დაიწყო, საერთო შეხედულება ასეთი იყო: „ბოსტონელ დათვებს" გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდათ. მაგრამ ბოსტონელებმა, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ დააფასეს მეტოქე, რომელიც დიდი ხნის გადასული არ არის ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. ბოსტონელებს უმთავრესად ვარსკვლავების იმედი ჰქონდათ, მაგრამ გუნდს ბობი ორისა და ფილ ესპოზიტოს ბრწყინვალე თამაშმა ვერაფერი უშველა. ფილადელფიელებმა მათ უპასუხეს კოლექტიური თამაშით, სადაც ყოველი ჰოკეისტი ბრწყინვალე იყო დაცვაშიც და თავდასხმაშიც.

„ეს ბიჭები სამივე პერიოდში ერთნაირი მონდომებით იბრძვიან, — თქვა ორმა ფილადელფიელთა შესახებ. — თავი არ ებრალებათ..."

„ბოსტონთან" ბოლო შეხვედრის წინ სადესის კორესპონდენტმა შეძლო ტელეფონით დაკავშირებოდა გუნდის უფროს მწვრთნელს ფრედ შეროუს.

— მე მომწონს საბჭოთა ჰოკეისტების თამაში. ჩემზე მათ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს კანადისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების მატჩების დროს, — თქვა ფ. შეროუმ. — „ბოსტონ ბრიუინზთან" შეხვედრების ფინალური სერიის წინ ჩვენ ამ მატჩების ვიდეოჩანაწერები ვნახეთ. მე იმედი მქონდა და, როგორც ხედავთ, არც შევმცდარვარ, რომ საბჭოთა ჰოკეისტთა თამაშის ტაქტიკის გამოყენება დაგვეხმარებოდა ბოსტონელებთან თამაშის დროს. ჩვენ აქცენტი გადაცემებსა და სწრაფ სრიალზე გადავიტანეთ.

## სახიფათო ზონაში

უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის III ტურის მესამე დღეს მესამედ გაიმარჯვა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივმა, რომელმაც დაამარცხა კიევის ასკ — 30:25.

დიდი ანგარიშით წააგო თამაში შეჯიბრების ერთ-ერთმა ლიდერმა — მოსკოვის „კუნცევომ" ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდთან — 26:36.

ზედიზედ ორი ფრედ დამთავრებული მატჩის შემდეგ მოსკოვის არმიელებმა დაამარცხეს ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი" — 37:21.

მესამედ დამარცხდნენ თბილისის ბურევესტნიკელები, რომლებმაც ამჯერად წააგეს მასპინძლებთან — ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბის წარმომადგენლებთან — 19:20.

მდგომარეობა 17 ტურის შემდეგ:

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| საავიაც. ინსტ. | 15 | 0 | 2 | 486:394 | 30 |
| ცსკა | 11 | 2 | 4 | 417:350 | 24 |
| „კუნცევო" | 11 | 1 | 5 | 401:394 | 23 |
| მეტალ. ინსტ. | 8 | 3 | 6 | 386:357 | 19 |
| ასკ | 7 | 3 | 7 | 376:370 | 17 |
| „ალუმინსტროი" | 5 | 1 | 11 | 358:416 | 11 |
| „ბურევესტ." | 3 | 0 | 14 | 370:424 | 6 |
| ფიზკ. ინსტიტუტის სპორტკლუბი | 3 | 0 | 14 | 343:432 | 6 |

## თასი „სპარტაკმა" მოიპოვა

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს მოშაშეთა თასის პირველი გუნდური გათამაშება, რომელშიც მონაწილეობდნენ „განთიადის", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", „კოლმეურნისა" და „ლოკომოტივის" ნაკრები გუნდები. თითოეულ გუნდში შედიოდა ორი ვაჟი და ერთი ჭაბუკი ასუჯრიან შაშში, თითო ვაჟი, ქალი, ჭაბუკი და გოგონა — რუსულ შაშში. მონაწილეთა შორის იყვნენ ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები.

თასის პირველი მფლობელი გახდა „სპარტაკის" გუნდი — 18,5 ქულა. მან მოუგო „ბურევესტნიკს" ანგარიშით 5:2, „ლოკომოტივს" — 5,5:1,5, „კოლმეურნეს" — 5:2, დამარცხდა „განთიადთან" — 3:4.

II ადგილზეა „განთიადი" — 18 ქულა, III — „კოლმეურნე" — 13, IV — „ბურევესტნიკი" — 10,5, V — „ლოკომოტივი" — 9.

შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგები (4 ქულა 4-დან) ჰქონდათ რ. ფატიანს („სპარტაკი"), ჩ. ცანავას („განთიადი") და მ. მოსიძეს („კოლმეურნე").

შეჯიბრების უძლიერესი მონაწილეებით დაკომპლექტდება საქართველოს მოშაშეთა ნაკრები, რომელიც ივლისში ორენბურგში მონაწილეობას მიიღებს საკავშირო თასის გათამაშებაში.

ხ. პახლაჯიანი,
სპორტის ოსტატი.

## სტაჟიანი მთამსვლელი

იაპონელი მთამსვლელი ს. ეკოტა 72 წლისაა. თავისი სპორტული ცხოვრების მანძილზე მან იაპონიის 70-მდე მწვერვალი დაიპყრო. ეკოტა ასულა ასამაზე, ოთხჯერ აქვს დაპყრობილი ლეგენდარული ფუძიამა (3776 მ).

ორმოცი წელი შესწირა იაპონელმა მთამსვლელმა თავის საყვარელ სახეობას, თუმცა 23 წლისა იყო, როცა ფეხი დაკარგა.

ბოლო ასვლა ეკოტამ 1973 წელს განახორციელა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04590